გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**ზედამხედველი კომიტეტი** და **მმართველობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა** სთხოვს, ვისაცკი ჰსურს პატივი სცეს ხსოვნას ეხლა-ხან გარდაცვალებულის, ზედამხედველ კომიტეტის წევრად ნამყოფის **დავით ქაიხოსროს ძის ყიფიანისას**, მობრძანდნენ იმის სულის მოსახსენებელს პანაშვიდზედ, რომელიც იქმნება გარდახდილი კვირას, 1 ნოემბერს, დილის 12 საათზედ, ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (3—163—2)

## სახლების აშენების ამხანაგობის მმართველობა

უმორჩილესადა სთხოვს იმ ამხანაგთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ წილის ფულის შესავსებლად,ააჩქარონ ამ ფულის შემოტანა საზოგადო კრებამდე, რომელიც დანიშნულია ნოემბრის 8. ამასთანავე ამხანაგობის მმართველობა აცხადებს, რომ ვინც ამ ფულს კრებამდე არ შემოიტანსს გამოირიცხება ამხანაგობიდგან. (5—2)

## წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისადა სარედაქციო კომისიის შეერთებულმა კრებამ მდგომარე წლის 2 მაისს დაადგინა ქართულის კრებულის გამოცემა დროგამოშვებით. კრებულში დაიბეჭდება სალიტერატურო და სამეცნიერო წერილები და სივრცით იქმნება არა ნაკლებ ათის თაბახისა (320 გვ.)

ვთხოვთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობის მიღება, თავის ნაწერები გამოუგზავნოს ამხანაგობას კრებულში დასაბეჭდათ.

მოწონებულს და კრებულში დაბეჭდილს რომანებში, მოთხრობებში და სამეცნიერო წერილებში ავტორთ მიეცემათ ნაბეჭდ თაბახში (32 გვერდი, გვერდზედ 27 სტრიქონი იქმნება 5×8 კვადრ.) არა ნაკლებ 18 მ. ლექსები და პოემები დაიბეჭდება სხვა პირობებით.

ხელნაწერებთან ერთად ავტორისმიერ გამოგზავნილი უნდა იქმნას წერილი პირობითურთ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (10—6)

## დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—7)

## ფასი დავკარგეთ

ბევრს ჩვენს მკითხველს გაუკვირდება ეს უცნაური სათაური წერილისა. როგორ თუ ფასი დავკარგეთ! დიაღ, სწორედ რომ ჩვენ, მთლად ქართველებმა, ფასი დავკარგეთ; ის აღარა ვართ, რანიც ვიყავით ძველად, ისე ძვირად აღარა ვღირვათ, როგორც წინად. შავი ღრუბელი გადმოგვეფარა, დიდ-ხნობით დაგვბურა და დღესაც ნისლითაა მოცული ჩვენი ქვეყანა და ვაიც ის არის, რომ არ ვიცით დარწმუნებით, როდის გადიყრის ამ ნისლს ცის კიდე და როდის გამოიდარებს.

ბ-ნ ანტონ ფურცელაძის ახლად დაბეჭდილი წიგნი „გიორგი სააკაძე და მისი დრო" გულ-მოდგინედ რომ წაიკითხოთ, სხვას ყველას თავი დაანებოთ, უეჭველად ერთი დიადი აზრი მიიქცევს თქვენს ყურადღებას, შეიპყრობს თქვენს სულიერს არსებას. ეს ის აზრია, რომ ქვეყანაზედ ჩვენც რამე ვყოფილვართ ოდესმე, ჩვენც ფასი გვდებია და აბუჩად, მასხარად აგრე ადვილად ვერავის აუგდივართ. დრო და ჟამი, აწერილი წიგნში, ესე იგი მეთექვსმეტე საუკუნის მიწურული და დამდეგი მეჩვიდმეტისა სავსეა ჩვენთა მამა-პაპათა ქველობით, გმირობით, სამშობლოსსიყვარულით, თითქმის წარმოუდგენელის ვაჟკაცობით. მამულით მცირე სამშობლოს, პატარას, მაგრამ ტურფა საქართველოს, თავიანთ წმიდა სისხლით რწყავდნენ მისნი მკვიდრნი; ურიცხვი. გიკვირს ეხლა, როდესაც განცხრომით მუთაქაზედ წამოწოლილი ჰკითხულობ ამ ახლო დროის მოთხრობას. ეს ამოდენა მტრის ურიცხვი ჯარი სად ეტეოდა, ან ქართველები როგორ უძლებდნენ, როგორ არ გაწყდნენ სრულებით, როგორ-ღა ახლდებოდნენ ფენიქსებრ! მტერი მოდიოდა ასი ათასობით ყოველის მხრიდგან: ათს წელიწადს არ გვაცლიდნენ მყუდროებით ცხოვრებას, ხან სპარსეთი ჰგზავნიდა საქართველოს ამოსაწყვეტად მხედრობას, ხან ოსმალეთი. რასაც ესენი დაგვაკლებდნენ, იმას მთის ველური ტომნი შეგვისრულებდნენ ხოლმე.

მაგრამ მაინც, აი საქმეც ამ „მაგრამშია", შესამჩნევს მტერი ვერას გახდა. სპარსეთმა მთელი თავისი ძალღონე საქართველოს მოსპობას შეალია და სასურველი წადილი-კი ვერ აისრულა, ვერ დააშლევინა ქართველებს რუსეთისაკენ ცქერა.

ამ მამაცობასა და გმირობას ის შედეგი მოსდევდა, რომ ქართველს კაცს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს აზიაში. სად არ ულაშქრნია ქართველს, სად არ უმღელვარებია თავისი ხმალი!.. ვისაც-კი უწვნევია მისი სიმჭრელე, ყველას ღრმად ჩარჩენია ხსოვნაში ქართველის ერის სახელი. ვიღა აიგდებდა მაშ აბუჩად ძველს ქართველს, დაწყებული ანატოლიიდგან ინდოეთამდე, კავკასიის ქედიდგან არაბეთის უდაბნოებამდე?! ოღონდაც რომ არავინ.

დიაღ, მაშინ დიდი ფასი გვდებია, მაშინ ჩვენთან მეგობრობა სანატრელი ყოფილა და მტრობა — საშინელი. ჩვენი მეზობლები ერთსაც და მეორესაც ძვირად აფასებდნენ, არავითარს თვალ-მარგალიტზედ არ გასცვლიდნენ. შემოხიზნულნი ხომ სულ თვალსა და წარბში შემოგვცქეროდნენ. ჩვენს წყრომასაცა და დაყვავებასაც ღირსეული ფასი ჰქონია.

ეხლა? სწორედ ძნელია ეხლანდელის ჩვენის მდგომარეობის შედარება მიშინდელთან. ვიღას რადმე უნდივართ ეხლა? ან ჩვენი მეგობრობა ვის ეპრიანება, ან ჩვენს წყრომას ვინ მიაქცევს ყურადღებას. როგორც ბავშვის ტირილს, ბუზღუნს და ხანდახან პატარა მუშტების მუქარას ყურადღებას არავინ აქცევს, ისე ჩვენ. თუ მაინც და მაინც ძალიან გაჭირვეულდება ბავშვი, დასაშოშმინებლად ან ზიზილას მისცემენ, ან ტკბილეულს რასმეს... მორჩა და გათავდა. როგორც მოძულებულსა და გაცვეთილს ჩოხას აღარა აქვს ფასი, ისეც ჩვენ აღარადა ვღირვართ. სათქმელადაც-კი ძნელია, რანიცა ვართ ეხლა, მაგრამ რას იზამ, არც თვალის დახუჭვაა კარგი.

ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი პატარა ამბავი, რომ ინგლისის კონსულს სმიტს მოსწონებია გურულების ტანთ-საცმელი, მათი სიმარდე, მამაცური სახის მეტყველება, მიხვრა-მოხვრა და ინგლისში წაეყვანა საჩვენებლად, ჰნახეთ, რა სასიამოვნო ხალხია ქართველებიო.

სმიტი არ შემცდარა. იმის თანამემამულეთ მართლა დიდად მოსწონებოდათ გურულები და ადრესი მიართვეს, ყოჩაღები ჰყოფილხართო. მოდი და მწარედ ნუ გაგეცინება ამ ამბის წაკითხვაზედ. განა სიმამაცეს, მხნეობას, სიმკვირცხლეს, მარტო ინგლისში აქვს ფასი და ჩვენში-კი დაეკარგა? განა ამ ღირსებას ეხლა მარტო სხვაგან ვიჩენთ და შინ არა? შინ რომ ბავშვი ტიროდეს, ტაბლას გარედ რა ხელი აქვს? მახლას!...

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში დილით 28 ოქტომბერს ავად იყო ხოლერით 2; ამავე დღეს არავინ მიუყვანიათ. 25 ოქტომბერს გარდაცვალებული ქალი აბდულა-ყიზი-ბაი მკურნალებმა გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ ხოლერით არა ყოფილიყო ავად.

ტფილისის სამხედრო სამკურნალოში 28 ოქტომბერს ტფილისის რკინის გზის სადგურიდგან ერთი ჯარისკაცი მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი.

*** გუშინ, ამ თთვის 30, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ ამორჩეულმა დეპუტაციამ კავკასიის მთავარ-მმართებელს გენერალ-ადიუტანტს ს. ა. შერემეტიევს ამ საზოგადოების საპატიო წევრის დიპლომი მიუტანა. დეპუტატებად იყვნენ: საზოგადოების თავმჯდომარე მ. ი. სერგეევი, მმართველობის წევრი ბ. ზ. ენიკოლოფოვი, მდივანი გ. მ—ძე პავლოვი და ორიც მზრუნველი ი. ზ—ძე ენიკოლოფოვი და გ. ს—ძე რევაზოვი. გენერალმა შერემეტიევმა მიიღო დიპლომი,

# ფელეტონი

## პირველი ტალღები

(მოთხრობა)

### XI *)

ზემოდ აწერილმა ამბავმა დიდად შესცვალა მაროს არსება. მაროს, მისის თქმისა არ იყოს, თითქოს ეხლა აეხილა თვალები და მთელი, აქამდის უცნობი, ქვეყანა დაეხატა თვალ წინ. როგორც ვიცით, მარო კეთილის გულისა იყო და ყველა უყვარდა, მაგრამ რაც არ იცოდა, რა ექნა. მაროს დათას ნახვამდის ერთი სიტყვაც არ გაუგონიაგლეხკაცებისსასარგებლოდ, ყოველთვის სიცილით იხსენიებდნენ მისს სახლში საბრალო ყაზახს, თუმცა ბევრს მათგანს ბევრი პატივი უცია მაროსთვის. მაროს ეხლა ყველაფერი მოაგონდა; მოაგონდა, როგორ მოჰქონდათ მანუჩარისთვის მანამდის ქაქიჩებს, ბერიკებს და სხვებს მოსაკითხი და მაროსათვისაც ყოველთვის ცალკე უნდა მოეტანათ ყოველივე ნობათი. ეს ის დრო იყო, როცა გლეხ-კაცნი ახალნი განთავისუფლებულნი იყვნენ და ჯერ კიდევ სცემდნენ პატივს ბატონს. მაგრამ გავიდა დრო და გლეხ-კაცი ძვირად თუ მოვიდოდა მანუჩარისას. ალბად სამაგიერო პატივისცემა ვერ მიიღეს მანუჩარისაგან და მიატოვეს. „ეხლა თავად-აზნაურობა ცალკე გადგა და გლეხ-კაცობა ცალკე, ისინი ერთმანეთის მტრებად გადიქცნენ", მოაგონდა მაროს დათას სიტყვები: „არა, მე დავუმეგრდობი იმ საწყლებს, როცა ჩემი თავი ჩემ ხელთ იქნება და იმათაც დავიმეგობრებ", ჰფიქრობდა მარო, მერე როდის იქნება მაროს თავი მაროს ხელთ?—მაშინ, როცა გათხოვდები და მოშორდები სალომესაო, უთხრა გულმა და ჩააფიქრა ყმაწვილი ქალი. „მერე იმისთანა ქმარი რომ შემხვდეს, როგორიც მამაა, რომელსაც არ უყვარს გლეხები? ჰფიქრობდა მარო: არა, არა, იმისთანა კაცს არ წავყვები!... მე წავყვები ნასწავლს კაცს, როგორიც დათაა, და ჩვენ ერთად ვიზრუნებთ გლეხებისთვის".—მაგრამ შენს ნებაზედ ვინ გაგიშვებს? უთხრა გულმა ისევ მაროს: ვისაც დედ-მამა გიბრძანებს, ხომ იმას უნდა წაჰყვე? „შევეხვეწები დედას".—არ გაგიგონებს, ეუბნებოდა გული. „მაშინ ვეცდები ჩემს ქმარსაც შევაყვარო გლეხები, ვინც იქნება; ავუხსნი, რაც დათამ მე ამიხსნა და თუ მე გავიგე, დავიჯერო, ის კი ვერ გაიგებს? ხომ კაცის გული ექნება იმასაც!" აი ამ ფიქრს დაადგა უმანკო, ჯერ ცხოვრებისაგან ხელუხლებელი მარო. ოჰ, რა მდიდარი ნიადაგია მაროს გული კეთილის ჩასანერგად და რამდენს ნაყოფს გამოიღებს, რომ რიგიანი პატრონი ეყოლოს! მაგრამ სად არის პატრონი?..

აქამდის თუ ებრალებოდა მაროს იმდენად ტანჯული დათა, ამას შემდეგ თაყვანსა სცემდა და უნდოდა, რომ ახლა დათას შეეცოდებინა და შეებრალებინა მარო. დათასაც ებრალებოდა თავისი მოწაფე და სცდილობდა, როცა-კი დროს ჩაიგდებდა ხელში, გაეზიარებინა მისთვის, რაც ადამიანს ნამდვილ კაცად ჰქმნის, რამდენადაც-კი შეეძლო. მარო უსმენდა გატაცებით, უსმენდა მარადის აღფრთოვანებული, და ჰხედავდა, რომ ყოველ ლაპარაკის შემდეგ თითქოს ერთი მტკაველი ემატებოდა. როცა „Капитанская дочь"-ს არჩევდნენ, დათა ლაპარაკობდა სიყვარულსა და პატიოსნებაზედ, გმირულ თავდადებაზედ; როცა გოგოლის „Тарасъ Бульба"-ს—კიდევ სიყვარულზედ, სამშობლოსთვის თავის განწირვაზედ, დაჩაგრულთა სიბრალულზედ... ეხლა გოგოლისავე „Шинель"-ი, მისივე „Старосвѣтскіе помѣщики" რამდენ, მასალას აძლევდა და ისიც სარგებლობდა...

—მარო, უთხრა ერთხელ კოწიამ დას: რას სჩადი, ისე წავა, მგონი, დათა, რომ ერთს სახსოვარსაც არ გაატან?

— რა ვქნა, რა შევკადრო, თვარა მე თითონ არ ვფიქრობ მაგას? უთხრა მარომ. მართლაც, მარო, თითქმის პირველ დღიდამვე, როცა სალომემ უთხრა, შენ თითონ ეცი პატივი დათასო, სულ ჰფიქრობდა, რითი მოვახერხო მისი პატივისცემაო?

— ქალო, ან შეუკერე რამე, ან აუქარგე, უთხრა კოწიამ.

— რა შევუკერო? თუთუნს არ სწევს, რომ ქისა შევუკერო და სხვა რის შეკერვა შემიძლიან?

— პერანგი მაინც შეუკერე და აუქარგე!

— პერანგი?... სთქვა და ჩაფიქრდა მარო. ცოტას ხანს ასე იყო ჩაფიქრებული, მერე უეცრად სახე გაუბრწყინდა და აჩქარებით უთხრა: იცი, რა ვიფიქრე? მამამ რომ საკაბე დარაია მომიტანა ქუთაისიდგან, იმის ბლუზას შევუკერავ და ავქარგავ!

— მშვენიერი იქნება! უთხრა კო-

*) იხ. „ივერია", № 229.

საზოგადოების წესდება და წლიური ანგარიში, მადლობა გადუხადა დეპუტაციას და დაჰპირდა: დიდის სიამოვნებით დავეხმარები, საზოგადოებას, რომ თავისი აზრი და საგანი განიხორციელოსო.

⁂ გუშინ, 29 ოქტომბერს, ტფილისით კიდევ გაიარა რკინის გზით დამშეულ გლეხთა ათმა ოჯახმა. ეს გლეხნი პენზას გუბერნიიდგან ბათუმს მიდიან.

⁂ გუშინ ბათუმში გაგზავნეს ტფილისიდგან დიდ-ძალი კართოფილის სანთელი, რადგანაც ნოემბრის პირველს რიცხვებში იქ დიდი ჩირაღდანი უნდა გაიმართოს.

⁂ გუშინ ტფილისში დაბრუნდა ქ. შუშადგან ბ-ნი ი. რატილი, რომელსაც შუშაში რამდენიმე კონცერტი გაუმართავს. ამ კონცერტებს დიდ-ძალი ხალხი დასწრებია.

⁂ ხვალ, ნოემბრის პირველს, დაიწყება კენჭის ყრა იმ ყმაწვილ-კაცებისა, რომელნიც დაბადებულან 1871 წ. და ამ წელს ჯარში უნდა გავიდნენ. სიის წაკითხვას დაიწყებენ დილის ცხრა საათზედ, კენჭის ყრას-კი—ნაშუადღევის 2 საათზედ.

⁂ პოლიცია ამ ჟამად დაეძებს თორმეტის წლის ბავშვს გრიგოლ ბაინდუროვს, რომელიც ამ თთვის 26, დილის რვა საათზედ, სახლიდგან გამოსულა და მას შემდეგ შინ აღარ დაბრუნებულა და არც იციან, სად უნდა იყოს.

⁂ ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი 30 ოქტომბერს წაბძანდა გორის მაზრაში, სადაც, როგორც ამბობენ, ავაზაკები გაჩენილან.

⁂ მთავარ-მმართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი მიცკევიჩი კაი ხნობით მოსარჩენად სხვაგან მიდის. იმის თანამდებობის ასრულებას, ამბობენ, მიანდობენ დროებით იმავე კანცელარიის საქმის-მწარმოებელს ამბარდანოვსაო.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შეადგინა სია იმ მოსამსახურეთა, რომელთაც ხოლერის წინააღმდეგ იბრძოლეს. ამ მოხელეებს საჩუქარს დაურიგებენ.

⁂ 28 ოქტომბერს ტფილისში გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი პეტრე ალ. ძე რამანოვი. განსვენებული 1876 წელს იქმნა დანიშნული ნახიჩევანის მომრიგებელ შუაკაცად და შემდეგ იქმნა გადმოყვანილი ტფილისში საგლეხო საკრებულოს წევრად. 1879 წ. განსვენებული დაინიშნა ქუთაისის საგლეხო საკრებულოს წევრად.

განსვენებული იყო პატიოსანი მუშაკი და მთელი თავისი სიცოცხლე საგლეხო საქმეების სამსახურს მოანდომა. ყოველთვის საქმის გადაწყვეტაში დიდს კაცთ-მოყვარეობას იჩენდა.

⁂ ვგონებთ, მთელს ტფილისში არც ერთს ქუჩაზედ ისეთი მოძრაობა და მისვლა-მოსვლა არ არის, როგორც რიყის ქუჩაზედ და სირაჯხანის აღმართში. ეტლებს გავლა აღარ შეუძლიან ამ ქუჩაზედ, იმდენი პოვოსკა, ეტლი და მომუშავე ხალხი მიდის და მოდის. ამ ქუჩის გაყოლებაზედ, საცდელად რომ გაიაროთ, თითქმის ხუთგან-ექვსგან შეხვდებით ერთმანეთში გახიდულ ცხენის რკინის გზის ვაგონს, ეტლსა და პოვოსკას და აქეთ-იქიდგან კიდევ სხვა მეეტლენი და პოვოსკები ელიან, აცა, როდის გაიწმინდება გზა, რომ გავიაროთო. ამასობაში ეს ქუჩა ყოვლად მოუვლელად და უპატრონოდ არის დარჩენილი, ზაფხულობით ამ ქუჩაზედ გამვლელს მტვერი არჩობს და ზამთრობით ტალახი და ოღრო-ჩოღრო გზები აწუხებს, რადგან ბულვრები არსად არის გაკეთებული და თვით ქვაფენილიც ქუჩისა ისეა აკიბულ-ჩაკიბული, რომ ამ გზას წელიწადში ორჯელ მაინც უნდა დასჭირდეს ქვა-ფენილის გამოცვლა ეტლების ხშირისა და მეტის-მეტის სიარულისაგან. ნეტავი ვიცოდეთ, ამ ქუჩას როდისღა გაუღიმებს ბედი და როდის მიაქცევს თავისს მოწყალე ყურადღებას ჩვენი ქალაქის გამგეობა?!

⁂ დღეს, ტფილისის საზაფხულო თეატრში დანიშნულია კონცერტი ახალგაზდა ქალის ა. ზანალისა, რომელიც მშვენივრად უკრავს თურმე სკრიპკას. ქ-ნი ზანალი ტფილისშია დაბადებული, მამა იტალიელი ჰყავს და დედა ქართველი. ქ-ნ ზანალიმ უკანასკნელ დროს კონცერტი გამართა პავლოვსკში. პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთები ძლიერ აქებენ ქ-ნ ზანალის და სწერენ, რომ საუცხოოდ უკრავს სკრიპკასაო.

⁂ მოგვყავს რამდენიმე ცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემოსავალის შესახებ. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ რკინის გზის შემოსავალს თანდათან უმატნია. მაგალითად, 1888 წელს რკინის გზას წაუყვან-წამოუყვანია 931,867 კაცი, 1889 წელს—1.028,309 და 1890 წელს-კი—1.133,486 კაცი. ბილეთების გაყიდვით რკინის გზას შემოსავალი ჰქონია პირველ წელს 1.280,100 მან., მეორე წელს—1.349,136 მან. და მესამე წელს—1.350,320 მან. საქონელიც ყოველ წლივ თანდათან მეტი გადაჰქონდა რკინის გზას. 1890 წელს გადატანილ იქნა 118.617,417 ფუთი. ამ საქონლიდგან შემოსვლია რკინის გზას 12.869,093 მან. ყოველ გვარ შემოსავლიდგან რკინის გზას წმინდა მოგება დარჩენია 1888 წელს—$4^{1}/_{2}$ მილიონ მანათზედ მეტი, 1889 წელს—$6^{1}/_{2}$ მილიონ მანათზედ მეტი და 1890 წელს-კი 8 მილიონ მანათზედ მეტი. საერთო შემოსავალი 1890 წელს 14.885,642 მანათი ყოფილა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ რკინის გზის უწინდელ პატრონთ ერთის წლის განმავლობაში მოუგიათ 8 მილიონი, ე. ი. თითქმის $45^{0}/_{0}$ მთელის შემოსავლისა. ბალანსი რკინის გზის ანგარიშისა 1891 წლის 1 იანვრისთვის იყო 134.414,808 მან. 26 კაპ.

⁂ ჩვენ გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი, რომ დიდუბის მინდორზედ რამდენმამე კაცმა სახლები აიშენა ქალაქის ადგილზედაო. ქალაქმა მაშინვე პოლიციის შემწეობით ამ სახლის პატრონებს ოქმი შეუდგინა უკანონოდ ადგილების დასაკუთრებისათვის. ამ ჟამად სახლის პატრონებმა მიჰმართეს გუბერნატორს და სთხოვეს, ის ადგილები მოგვყიდოს ქალაქის გამგეობამ, რომლებზედაც სახლები ავიშენეთო. იმათი თხოვნა გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გადასცა. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნები განიხილა და გადასწყვიტა, იმ ადგილებს ვერ დავუთმობთ, რადგანაც ჩვენ თითონ დაგვჭირდება წყლის მილის გასაყვანადაო.

⁂ კაკაბეთი: წარსულ კვირას სოფ. ხუმლაგის ჩრდილოეთით შარა გზაზედ მოჰკლეს ავაზაკებმა სოფ. ზილგეს მცხოვრები ოსი ბოცკაევი. ბოცკაევს შიგ გულში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. ამბობენ, ბოცკაევი ქურდი იყო, ალბად ამხანაგებთან ჩხუბი მოუვიდა და იმათვე მოჰკლესო.

⁂ სოფ. გაგრა (სოხუმის მაზრა): ჩვენკენ ძლიერ გახშირდა ავაზაკობა. 15 ოქტომბერს სოფ. გაგრას ახლო ორი ცხენოსანი კაცი დაეცა ერთს მგზავრს და გაძარცვეს. ამ ერთის თთვის წინად ამავე ალაგას გაძარცვეს ექვსი კაცი, რომლებიც ახალ ათონიდგან მიდიოდნენ და რაცკი ებადათ, სულ ერთიანად წაართვეს ავაზაკებმა.

⁂ გაზეთს „Н. О.“-ს შეუტყვია, რომ მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება რამდენსამე კრებას მოახდენს, რომლებზედაც განხილული იქმნება სამეურნეო საქმე რუსეთში. საზოგადოებას განზრახვა აქვს: 1) დააარსოს რუსეთში უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი; 2) გამოარკვიოს მიზეზი მოუსავლობისა რუსეთში 1891 წელს, და 3) მთელი რუსეთი სამეურნეო ნაწილებად დაჰყოს და თითო ნაწილში დააარსოს უმაღლესი სასწავლებელი მეურნეობისა. ფრიად სასურველია, რომ ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ ამ კრებებში მონაწილეობა მიიღოს და ეცადოს, რომ კავკასიაშიაც დააარსონ ასეთი სამეურნეო სასწავლებელი.

⁂ გაზეთ „Кавказъ“-ში ვკითხულობთ წერილს მკურნალის ვ. პრეობრაჟენსკისას პასუხად ი. ხაჩატუროვის წერილისა, რომელიცამას წინად დაბეჭდილი იყო გაზ. „Листокъ“-ში. ვ. პრეობრაჟენსკი სწერს სხვათა შორის: ი. ხაჩატუროვი ცილსა მწამებს და სრულიად უსაბუთოდ ამბობს, ვითომც მე ახალციხეში ყოფნის დროს არაფერი საშუალება არ მიმეღოს ხოლერის მოსასპობად. ახალციხეს ქალაქის საბჭომ მიმიწვია მე ივლისის ცამდევს, როცა ხოლერა ჯერ არ იყო ახალციხეს და, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ქალაქის სასანიტარო მდგომარეობას მივაქციე ყურადღება. როცა ხოლერა გაჩნდა ახალციხეს, სამწუხაროდ, ქალაქს არავითარი ღონისძიება არა ჰქონდა მიღებული ხოლერის წინააღმდეგ. არსად იყო არც თავშესაფარი, არც საწოლები. ამის გამო ხოლერამ ძლიერ ბევრი ხალხი იმსხვერპლა. 26 ოქტომბერს ხოლერა განელდა, 28 ოქტომბერს ახალციხის ქალაქის გამგეობამ დამითხოვა. სწორედ ამ დროს გაჩნდა ახალციხეს ი. ხაჩატუროვი თავისის დასით და, როგორც თითონვე აღიარებს, სასანიტარო დასს ზურნით ქეიფის მეტი არა გაურიგებია-რა ახალციხეში.

## მთავრობის განკარგულებანი

გორის სამაზრო მმართველობის შტატს გარეშე მოხელე, ილია ყანჩელი დანიშნულ იქმნა ბორჩალოს მაზრის მმართველობის მოხელედ.

## ქალაქის საბჭო

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი.

წესდების ძალით, ქალაქის თვითმმართველობას შეუძლიან მოუმატოს ფასი წყალს, თუ ამ მომატების შესახებ ნოემბრის პირველამდე გამოაცხადებს, რომ პირველ იანვრიდგან შემდეგის წლისა ახალის ნიხრით გაიყიდება წყალიო. თუ პირველ ნოემბრამდე არ იქმნა გამოცხადებული გაზეთებში, შემდეგ მომატება აღარ შეიძლება ერთ წლამდე. საბჭოს წარსულ კრებაზედ ხმ. ვ. ა. სარაჯიშვილმა სარჩიელი შეიტანა, რომ წყალის ფასი ყველგან ერთი დავაწესოთო და მაშინ ქალაქის კასსას მოემატება წელიწადში სამი ათას თუმნამდე, რაიცა ძლიერ შეგვიწყობს ხელს ხარჯის დაბრუნებაშიო. რადგანაც, ამ სახით, წყალს ფასი უნდა მოჰმატებოდა იქ, სადაც იაფად ეძლევათ, ამის გამო ქალაქის მოურავმა დანიშნა საგანგებო კრება 29 ოქტომბრისათვის, რომ, თუ საბჭო შეიწყნარებდა მოხსენებას ხმ. სარაჯიშვილისას და წაუმატებდა წყალის ფასებს, გამოეცხადებინათ პირველ ნოემბრამდე.

---

წიამ: შენ კაბა მაინც ბევრი გაქვს და რად გინდა?

— სწორედ ასე ვიზამ. ზედა ტანს მე შევიკერამ და ბლუზას დათას შევუკერავ. მხოლოდ ეს არის, უნდა დედა დავიყოლიოთ როგორმე.

— დედას ნურაფერს ნუ ეტყვი, სანამ არ დასჭრი და მერე რაღას იზამს? თუ მაინც და მაინც გასწყრეს, უთხარი, შენ თითონ არ მითხარი, პატივი ეცი-თქო, და მე სხვა არაფერი არ შემეძლო-თქო. მეც მოგეხმარები, თუ მაინც და მაინც გაწყრა, უთხრა კოწიამ.

— მაგრამ დათამ-კი არ უნდა იცოდეს არაფერი, სანამ არ გავათავებ ბლუზას, სთქვა მარომ.

— მე არ ვეტყვი, სთქვა კოწიამ.

— აბა თუ გიყვარდე, ჩემო ძამიკო, რომ არ შეიტყოს, ისე, რამე ნაირად მომიტანე დათას ბლუზი და ბარემ დღესვე დავჭრი, უთხრა მარომ კოწიას და გადაეხვია.

პატარა ხანს უკან სიამოვნებით სჭრიდა მარო თავის საკაბე დარაიას დათას ბლუზად და იმის მხიარულებას საზღვარი აღარა ჰქონდა, რა-კი შეეძლო მცირეოდენი რამ თითონაც მიეცა დათასთვის სახსოვრად, რომელმაც ამდენი რამ გააგებინა.

როცა ჭრა გაათავა მარომ, სახეები ამოიღო და სინჯვა დაუწყო.

— რა ნაირად მოვახერხო, რომ სახე თითონ ამოვარჩევინო? სთქვა მარომ.

— მე ეს მირჩევნია ყველას, სთქვა კოწიამ და დაადვა ერთს სახეს ხელი. სახე ერთმანეთზედ გადაბმულ ფართე-ფართე ვარდს წარმოადგენდა.

— არა, ჩემის აზრით, ეს სჯობია, სთქვა მარომ და გამოარჩია წვრილ-ყვავილებიანი სახე.

— აბა, როგორ ვქნათ, იცი? უთხრა კოწიამ: მე წავუღებ ამ ორ სახეს დათას და ვეტყვი, მე და მარო დანიძლავებული ვართ, რომელს გამოირჩევ ამ ორში, მითხარი-მეთქი.

— კარგი იქნება, მაგრამ რომ მიხვდეს?

— რას მიხვდება? ვეტყვი, ვსინჯავდით და მე ერთი ვამჯობინე, იმან მეორე, და შენის აზრით, რომელი სჯობია-მეთქი.

მარო დასთანხმდა და კოწიამ წაუღო სახეები დათას. დათამ მაროს გამორჩეული სახე მოიწონა და, როცა გაიგო, მისი გამორჩეულიაო, სთქვა:

— ჩვენ ბევრში ერთ ნაირი გემოვნებისანი ვართო.

მაროს ძლიერ გაეხარდა, როცა ეს გაიგო, და იმ დღესვე მიჰყო ბლუზის კერვას ხელი.

### XII

გავიდა რამდენიმე კვირა ჱ დათასკი ასე ეგონა, მხოლოდ გუშინ მოვედი აქაო. ასეა, სადაც სიამოვნებით ვატარებთ დროს, იქ წელიწადებიც-კი დღეებად გვეჩვენება. დათას ბავშვობის შემდეგ, როცა დედის ალერსით სტკბებოდა, ასე ტკბილად არ უცხოვრია, როგორც ეხლა სცხოვრობდა. მარტო ერთი მაროს გრძნობიერი შემოხედვა აფრთოვანებდა დათას და ავიწყებდა ყველაფერს. რაღაც მოთხოვნილებად გადაექცა დათას მაროს ყურება, მასთან ყოფნა, მასთან ლაპარაკი. მარო დაც იყო დათასთვის და გაზრდილიც, გაზრდილი სულიერი. თუ-კი თავიანთი გაზრდილი, რომელსაც მხოლოდ ფიზიკურად ზრდიან, უყვართ გამზრდელებს, რამდენად მეტად უნდა გვიყვარდეს ის, ვინც ზნეობრივად გავზარდეთ, ჩვენი აზრები, ჩვენი იდეალები ჩავუნერგეთ გულსა და გონებაში? დათასაც უყვარდა მარო და მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა, ოღონდ გაებედნიერებინა. დათა ამ სიყვარულისათვის სამაგიეროდ სიყვარულსავე როდი თხოულობდა. აზრადაც არ მოსვლია მაროსთვის თავი შეეყვარებინა; იმან იცოდა, რომ მარო პატივსა სცემდა და მისთვის ესეც საკმაო იყო. დათას წარმოდგენაც-კი არ შეეძლო, თუ, გარდა ამ უხორცო, მაღალ, იდეალით მოსილ სიყვარულისა, სხვა სიყვარულიც შესაძლებელი იქმნებოდა იმასა და მაროს შუა.

მაროს გრძნობა-კი დათას შესახებ, როგორც საზოგადოდ ქალისა, უფრო მატერიალური, უფრო ხორციელი იყო. მაროს ჯერ ებრალებოდა დათა, როგორც უბრალოდ დაჩაგრული ბედისაგან, მერე უეცრად გმირად გადაიქცა დათა იმის თვალში და სიბრალული თაყვანისცემად შეეცვალა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. როცა კლდეზედ მიჯაჭვულ პრომეთეოსის სურათს ჰნახავთ პირველად, რომელსაც გულ-ქვა არწივი გულღვიძლს სწიწკნის, სიბრალულს იგრძნობთ, როგორც დატანჯულის კაცის მიმართ. მაგრამ გაიგებთ თუ არა, ვინ არის პრომეთეოსი, გაიგებთ თუ არა მიზეზს იმის ტანჯვისას, კი აღარ გებრალებათ, თაყვანსა სცემთ, როგორც დიდებულს გმირს და შეჰნატრით კიდეც იმის ბედს. მაროსაც ასე დაემართა, მაგრამ დიდხანს ვერ გაჩერდა იმისი გული ამ სიმაღლეზედ და დათას თაყვანისცემა მატერიალურ სიყვარულად გადაექცა. ქალის სიყვარული სწორედ ასე იბადება ყოველთვის, ან სიბრალულის და ან თაყვანისცემის გამო და მარომ ხომ ორივე გრძნობა გამოსცადა დათას შესახებ.

ნოემბრამდე. კრებას დაესწრო 34 ხმოსანი.

ქალაქის ინჟენერმა წარმოადგინა ანგარიში, რამდენს მოიმატებს შემოსავალი, უკეთუ მიღებულ იქმნა ხმ. სარაჯიშვილის წინადადებაო. ამ ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ ეს მომატება ავა 14,500 მანათამდე წელიწადში.

ხმ. ზაზოვი. ჩემის აზრით, რაკი წყალს მოემატება ფასი, სახლის პატრონები გაფრთხილდებიან და ნაკლებს დახარჯავენ წყალს. ეხლა თუ კაცის თავს ვანგარიშობთ დღეში ოთხს „ვედრას“, მაშინ დღეში უნდა ვიანგარიშოთ სამი „ვედრა“. მაშასადამე, ძლიერ საჭიროა, რომ ამ ღონისძიებით მოემატოს რამ ქალაქის შემოსავალს. გარდა მაგისა, ჩვენ ამ ხოლერიანმა ზაფხულმა აშკარად დაგვანახვა, რომ ამოდენა ქალაქის ამოწყვეტისაგან გადარჩენა სულ მაგ მილის წყლის მიზეზია, მაგან დაიხსნა ქალაქი და ეხლა მაგასვე უნდა მივმართოთ და გავაძვიროთ? პირ-იქით, რაკი მაგეთი შემწეობა გაუწია ხალხს, უფრო უნდა გავაიაფოთ, რომ უფრო მომეტებულს ხმარებაში იყოს და სამერმისოდ მოსალოდნელი ხოლერა უფრო ადვილად ააცდინოს ხალხს.

ხმ. ა. ა. იოანესიანი. სწორედ რომ ვერაფერი წყარო იქმნება ქალაქის შემოსავლის გასაძლიერებლად ფასების წამატება წყალზედ. უეჭველია, რაკი დავაძვირებთ, ყაირათით იხმარებენ წყალს, რაიცა არ არის სასურველი, მეტადრე ხოლერობის დროს. ამიტომ მე ვთხოვ საბჭოს, უკეთუ მოინდომებს წყლის გაძვირებას, გააძვიროს მხოლოდ მშვიდობიანობის დროს და ხოლერობაში-კი ისევ გააიაფოს.

ხმ. მ. ი. თამამშოვი. მაგ გაძვირებით მართლაც არა უნდა გამოვიდეს-რა და ამიტომ სხვა წყაროებს უნდა მივმართოთ. ერთი უკეთესი წყაროთაგანი არის საყასბოს აშენება. მართალია, ფული არა გვაქვს ამისთვის, მაგრამ მოკლე ვადიან სესხით შეგვიძლიან ვიშოვნოთ. მაგალითად, თვით საკომერციო ბანკი დიდის სიამოვნებით გვასესხებს; ეხლავ შევუდგეთ საქმეს და ავაშენოთ იაფ-ფასიანი საყასბო, თუნდა 150,000 მანეთიანი. აგრეთვე შევუდგეთ განხორციელებას ხმ. ნიკოლაძის წინადადებისას, რომ ქალაქმა შეისყიდოს აბანოები და გაჰმართოს ევროპიული საბალნეოლოგიო სადგურიო.

ხმ. შახაზიზოვი. ფასის მომატება მილის წყალზედ სწორედ რომ ძნელია და მე თუ დღეს ვურჩევ ამ მომატებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქის კასსას მოღონივრება ეჭირვება. თანაც ეგ მომატება მაგდენს არას შეადგენს. დღეში ნახევარ კაპეიკის ანგარიშს არ დაიჭერს და აბა ვის დამისახელებთ იმისთანას, რომ ნახევარ კაპეიკის გულისთვის ყაირათობა გასწიოს. ქალაქს-კი მაგითი მოემატება სამი ათას თუმნამდე შემოსავალი.

ხმ. მ. კ. მაჩაბელი. მე სრულიად ვემხრობი ხმ. სარაჯიშვილის წინადადებას, რადგან იგი მომატებას-კი არ გვირჩევს, ის ამბობს—ყველას ერთი ფასი გამოვართვათ წყალშიო. მართლაც, რასა ჰგავს, რომ ვისაც წყალი სახლში აქვს გაყვანილი, იმას ვახდევინებთ ხუთ „ვედროზედ“ ერთს კაპეიკს, და ვინც მეთულუხესაგან იღებს, იმას-კი ოთხს ვედროზედ ერთს კაპეიკს, მაშინ როდესაც პირველს უიმისოდაც იაფად უჯდება წყალი, რომ მოსატანი ფასი აღარ ეხარჯება, მეორეს-კი წყალიც ძვირად უჯდება და მოტანის ფულიც მისდის ხელიდგან. თვით სამართლიანობა მოითხოვს, რომ წყალი მაინც ერთს გადაჭრილ ფასად ჰყიდოს ქალაქმა, მით უმეტეს, რომ წყალი მხოლოდ მდიდრებს აქვთ გაყვანილი სახლებში. რაიცა შეეხება ქალაქის კასსის მიშველებას, ჩვენ ჯერ იმდენი პროექტები გვაქვს განსახილველი, რომ მართლაც კარგა ბლომად მოემატება შემოსავალი ქალაქს. აგერ კონვერსია ქალაქის ვალებისა, რომლითაც წლიური ხარჯი დაიკლებს 37,000 მანეთამდე, აგერ ახალი ხარჯი მოტანილისა და გატანილ სავაჭრო საქონლისა და სხვანი. ყოველივე ეს ღონისძიებანი ძალიან შეუწყობს ხელს ქალაქსა და ამიტომ ჩვენ ჯერ უშიშრად და გულ-დამშვიდებით განვიხილოთ ეს პროექტები, ჯერ ავიღ-დავიღოთ, ჯერ ვილაპარაკოთ.

წევრი გამგეობისა ჰ. ა. იზმაილოვი. რატომ, ლაპარაკი კაი საქმეა, მეტადრე კარგი და ჰკვიანი ლაპარაკი. მაგრამ ცარიელის ლაპარაკით რა თანხა უნდა დაგვრჩეს ხელში. ჩვენ ხარჯი გავწიეთ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ქალაქის საყოველდღეო შემოსავლიდამ დავხარჯეთ ექვსი ათასი თუმანი. ქალაქის საქმეთა შეუჩერებელ მსვლელობისათვის საჭიროა, რომ ეგ ფული როგორმე და საიდგანმე დავუბრუნოთ კასსას. ჩვენ-კი გვეუბნებიან: ჯერ ვილაპარაკოთ, ვიმუსაიფოთ კონვერსიის შესახებ, აბანოების გამოსყიდვის გამო და სხვანი. კონვერსიას, თუ შეიწყნარა მთავრობამ, მოუნდება არა ნაკლებ ორის წლისა. აბანოების თაობაზედ ოცი წელიწადიც რომ ვილაპარაკოთ, არა გამოვა-რა. საყასბოს აშენებასაც-კი ორი წელიწადი უნდა მოვახმაროთ, და ფული-კი აი, დღესვეა საჭირო. გარდა ამისა, მე უნდა აღვნიშნო ერთი ფრიად მოულოდნელი ამბავი. საფინანსო კომისიამაც, თითქმის მთელმა საბჭომაც იმის მეტი არა აკეთა-რა ამ ორის წლის განმავალობაში, რომ საყვედურით აგვიკლო: დაჰღუპეთ ქალაქი, ვალი აიღეთ და მაგ ვალით ააშენეთ ხიდებიო, გამოიყვანეთ მილის წყალიო და სხვანი. დღეს-კი თვით თავჯდომარე საფინანსო კომისიისა გვირჩევს—მოკლე-ვადიანი ვალი ავიღოთ და საყასბო ავაშენოთო. აბა ჩვენც სწორედ იმიტომ ავიღეთ ვალები და იმიტომ „დავღუპეთ“ ქალაქი, რომ მაგ „დაღუპვით“ აგვეშენებინა მისი კეთილდღეობა. ვალებსა ჰხედავთ და შემოსავალზედ-კი თვალსა ჰხუჭავთ. ჩვენ ჩაგვბარდა ქალაქი, რომლის ქონებას წლიური შემოსავალი მოჰქონდა რაღაც ოთხი ათასი თუმანი. ჩვენ გვიზრახეთ შეგვექმნა მკვიდრი და თვალსაჩინო ქონება. ხელ-მოკლეობისა გამო ავიღეთ ვალი და ისეთი ქონება გავუჩინეთ ქალაქს, რომელიც დღეს წლიურ შემოსავალს იძლევა ოც-და-ათი ათასს თუმანს. მართალია, ჩვენ მიერ გაკეთებული შენობანი სავსეა ნაკლულევანებით, რის გამოც სწორედ ღირსნი ვართ ყოველ გვარის საყვედურისა, მაგრამ ვალი გათავდება და მაგოდენა ქონება ქალაქს დარჩება. ეს ერთი. მეორე შენიშვნა, რომლის თქმაც სწორედ საჭიროა ეხლა, შემდეგია: საზოგადო მოღვაწე თავისს მოქმედებაში უეჭველად უნდა ჰხელმძღვანელობდეს გამორკვეულის პროგრამით. რას ეგვანება, რომ დღეს ერთი ვთქვა, ხვალ მეორე, წინააღმდეგი პირველისა, ზეგ მესამე და სხვ. დღემდე ყველა თავის მოვალეობადა სთვლიდა დაეწუნა ჩვენი მილის წყალი. დღეს-კი იქამდის აქებენ, რომ ცამდის აჰყავთ. წყლის მილს რომ ვაკეთებდით, ჩვენ სახეში ისა გვქონდა, რომ თანდათან, რამდენიც გაძლიერდებოდა შემოსავალი, იმდენი ფასი დაგვეკლო. ჩემის აზრით, იდეალური, კაი ქალაქი ის არის, რომელიც მოახერხებს და მუქთად უზრუნავს მცხოვრებლებს სუფთა წყალსა. ჩვენ ამ გზას ვადექით და, როცა ვნახეთ, რომ შემოსავალი ჰფარავს ხარჯსა და თან ვალსაც ისტუმრებს, ავდექით და შევამცირეთ ფასი—წინად ოთხ „ვედრას“ ვაძლევდით კაპეიკად, ეხლა ხუთს ვაძლევთ. შეძლებისამებრ უფრო და უფრო უნდა გავაიაფოთ, რომ ხსენებული პროგრამა თანდათანობით სისრულეში მოვიყვანოთ. დღეს გვეუბნებიან—გავაერთიანოთ ფასებიო, როგორც აქამდე იყოო. გაერთიანება-კი არა, ეგ იქნება გაძვირება, ე. ი. პროგრამის გამოცვლა, გამორკვეულ გზიდგან გადადგომა. წყალმა ხოლერა აგვაცდინაო, ამბობენ. რაკი მაგეთი სასარგებლო გამოდგა, მაგიტომ უნდა გავაძვიროთ წყალი? ეგ იმას ეგვანება, რომ რომელიმე წამალი უებარი საშუალება გამოდგა ხოლერისა, ვთქვათ, ინოზემცის კაპლები და ჩვენ ამ უებრობის გამო ერთი ორად გავაძვიროთ იგი. ასეთი საქციელი იქნება ეპატიებოდეს ვისმე მეაფთიაქეს, მაგრამ განა ეკადრება ქალაქს, რომ მეაფთიაქის ხელობა დაიწყოს! ამის გამო მე სრულიად წინააღმდეგი ვარ წყლის გაძვირებისა.

შემდეგ ხანგრძლივის კამათობისა, რომელიც გამოიწვია ამ სიტყვამ და რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხმოსნებმა ნ. ი. ნიკოლაძემ, მ. ი. თამამშოვმა და სხვებმა, საბჭომ უარ-ჰყო მილის წყლის გაძვირების აზრი.

---

## პურის მაღაზიების საქმე

ქუთაისის გუბერნიაში.

„ქუთაისის უწყებანში“ დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო ცირკულიარი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა პურის მაღაზიების შესახებ. მოგვყავს ეს ცირკულიარი სიტყვა-სიტყვით:

„სამხედრო გუბერნატორად მყოფის, გრაფ ლევაშოვის სურვილისამებრ ქუთაისის გუბერნიაში 1869 წლიდგან დაიწყეს მართვა პურის მაღაზიებისა. ამ მაღაზიების რიცხვი თანაბრად არ იყო განაწილებული მაზრათა შორის. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ადგილობრივი საეკონომიო პირობანი იყო, უმთავრესად-კი ის გარემოება, რომ ყველა მაზრის უფროსი და მომრიგებელ-შუამავალი ერთ გვარის სიმხნევით ვერ ეცადა მკვიდრთათვის ჩაეგონებინა მთელი სიკეთე და სარგებლობა პურის მაღაზიებისა.

„1880 წელს სენაკის მაზრის მკვიდრთა უმეტესობას შიმშილობა ეწვია, მხოლოდ 1883 წელს ლეჩხუმისა და რაჭის მაზრის რამდენსამე საზოგადოებას მცირედ მოუვიდა მოსავალი. ამ გარემოებას თითქოს უნდა დაერწმუნებინა მკვიდრნი, რომ ღონისძიება რამ უნდა ვიხმაროთ ჩვენისავე თავის მოუსავლობისაგან უზრუნველ-საყოფელადაო, მაგრამ, ეს საქმე დღევანდლამდე უწინდელსავე შესაბრალისსა და სამწუხარო მდგომარეობაშია. 87 პურის მაღაზიას შორის, რომელნიც დაიმართა თითქმის 1874 წლიდგან, მთელს გუბერნიაში დარჩა მხოლოდ 8, რომლებშიაც მცირეოდენი სიმინდი-ღა ინახება. მაზრის ადმინისტრაცია თუ დამნაშავეა, რომ სუსტად განვითარდა ეს საქმე დასაწყისიდგანვე, ერთი ასად უფრო დამნაშავეა, რომ სრულიად ყურადღებას არ აქცევდა ამ საქმეს და დაჰღუპა კიდეც, რადგან უმეთვალყუროდ დარჩენილნი მაღაზიის გამგენი და მმართველნი სესხად ურიგებდნენ ხორბალს არა კეთილ-საიმედო ხალხს და ხანდახან თითონვე ისაკუთრებდნენ. მკვიდრნი-კი, ამ გარემოებით დაზარალებული, იძულებული შეიქმნა მაღაზიები გაეუქმებინა. იმის საუკეთესო დამამტკიცებელად, თუ რამდენად უყურადღე-

---

ოჰ, რა ბედნიერი იყო მარო მთელ იმ ხნის განმავლობაში, სანამ ბლუზას ჰქარგავდა, თუმცა ერთობ ძნელი იყო იმის უჩვევ ხელებისათვის ასე გამუდმებით შრომა! რამდენჯერ ცრემლებიც-კი შემოეხარჯა! ხან ძაფი შემოაკლდებოდა, ხან სხვა რამ საქმეს მისცემდა სალომე და მაროც იძულებული იყო მიეტოვებინა კერვა.

აი, ჰზის მარტო ოთახში მარო და ჰქარგავს არშიას. საყელო და სახელოები გათავებული აქვს, მხოლოდ არშია აქვს ცოტა დარჩენილი და უხარიან. ამას გარდა ოცნებობს კიდეც: აი ჰხედავს დათას ამ ბლუზაზში და ჰფიქრობს: „ოჰ, რა ლამაზია, როგორ ჰშვენის!“ აი დათა მივიდა სარკესთან და ღიმილით მისჩერებია თავის თავს; ალბად აგონდება ამ დროს მარო. აი აიწია იმან კალთა და დასჩერებია სწორედ იმ ადგილას, რომელსაც ეხლა ჰკერავს მარო. ალბად უკვირს, როგორ შეჰკერეს ამისთანა მშვენიერი მაროს ხელებმაო...

— მარო! მოესმის ამ დროს მაროს სალომეს ხმა, მაგრამ ვითომ არ გაუგონიაო, არ ინძრევა.

— მარო, მარო! ესმის კიდევ.

— გააჭირვა საქმე, რა უნდა ეხლა? ამბობს მარო: არ გავცემ ხმას, იძახოს, რამდენიც უნდა.

— მარო, მარო, მარო! არა ჩუმდება სალომე.

— კიდევ და კიდევ, ამბობს მარო და თვალებზედ ცრემლი ერევა.

— ბატონო, ქალბატონი გიძახით, შემოდის და ეუბნება მოახლე.

— რა ეშმაკი უნდა? რა უნდა, რა, რა, რა?... წუწუნებს მარო გულში და ანებებს საკერავს თავს. მერე იწმენდს თვალებს და გადის დედასთან, ვითომც აქ არაფერი ამბავიაო. თუ უთხრა რამე სალომემ, ეტყვის, არ გამიგონია შენი ძახილიო. ეშმაკია, დედას არას დროს არ ეტყვის საყვედურს, რომ არაფერი შეამჩნიოს.

აი, გაათავა მარომ ბლუზა, რამდენჯერმე გადაათვალიერა სიამოვნებით და მისცა კოწიას, რომ დათას შეუმჩნევლად შეეტანა იმის ოთახში. დათა მხოლოდ ნავახშმევს, დაწოლის დროს შევიდოდა თავისს ოთახში და მხოლოდ მაშინ ჰნახავდა ამ მოულოდნელს საჩუქარს.

გაათავეს ვახშამი და ყველანი გამოვიდნენ აივანზედ, რომ კვირიკობისთვის დღის სიცხით შეწუხებული გული ერთხელ კიდევ გაეგრილებინათ ღამის სიგრილით და დამტკბარიყვნენ მთვარის ყურებით.

ცოტა ხანს მუსაიფს შემდეგ სალომემ სთქვა, აწი-კი დაწოლის დროაო, გამოესალმა დათას და წავიდა. დათაც გამოესალმა მაროს და კოწიას და წავიდა თავისს ოთახში. ოჰ, როგორ „უბარძგალებდა“ გული მაროს!

— წავიდეთ, დავწვეთ! უთხრა კოწიამ დას, როცა დათა წავიდა.

— მოიცა პატარა ხანს! უთხრა მარომ. გული ეუბნებოდა, მოიცადეო, რადგან იცოდა, რომ დათა უნდა მოსულიყო მადლობის სათქმელად.

მართლაც, რამდენსამე წუთს შემდეგ, მოისმა ჩქარი ფეხის ხმა. კოწიამ იგრძნო, ვინც უნდა ყოფილიყო და რისთვისაც მოდიოდა და დაიმალა ღამის სიბნელეში, რომ თავისუფლება მიეცა დათასა და მაროსათვის.

აი გამოვიდა დათა აივანზედ, შეხედა მაროს, მერე გაიხედა აქეთ-იქით, იამა, რომ არავინ დაინახა, და მივიდა მასთან.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ხმის კანკალით უთხრა მაროს და გაუწოდა ხელი ჩამოსართმევად. მარომ მისცა ხელი და... აქ რაღაც საშინელი რამ მოხდა. ჯერ მეტად ცხელი ეჩვენა დათას მაროს ხელი, მერე-კი უეცრად ასე ეგონა, ყინულად გადაიქცაო. თითქო რაღაც ელექტრონის ძალამ დაურბინა დათას მთელ სხეულშიო, უეცრად ათრთოლდა, უცნაურმა ძალამ გაიტაცა და დაეწაფა მაროს ხელს, თითქოს უკვდავების წყარო იყოსო. მარო ჯერ არ ეწინააღმდეგა, მაგრამ მოისმა შორს სადღაც ფეხის ხმა, რომელმაც გამოიყვანა თავ-დავიწყებიდგან.

— გამიშვით, არავინ მოგვასწროს! უთხრა მარომ ხმის კანკალით. დათას, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, მოვიდა გონზედ და გაუშვა ხელი.

— მოითმინეთ, ერთი სიტყვა უნდა გითხრათ, უთხრა დათამ მაროს, რომელიც შველივით გამოუსხლტა ხელიდგან და გაიქცა.

— სხვიმის, მოესმა დათას მაროსაგან, რომელიც უკვე ოთახში იყო.

— დათა, მაროს შენ უყვარხარ! გაიგონა ამ დროს დათამ კოწიას ხმა, რომელიც გამოვიდა სიბნელიდგან.

— კოწია! დაიძახა დათამ და გაიქცა იქითკენ, საიდგანაც ხმა მოესმა, მაგრამ ამ დროს გამოვიდა აივანზედ სალომე.

— თქვენ კიდევ არ დაწოლილხართ? იკითხა მან გაკვირვებით.

— ლაპარაკს შევრჩით, უთხრა კოწიამ და ორივე, მასწავლებელ-შეგირდი, თითქოს დანაშაულში დაიჭირესო, წავიდნენ თავიანთ ოთახებისაკენ.

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

ბოდ სტოვებდნენ ამ სასარგებლო საქმეს მაზრის უფროსნი და მომრიგებელ-შუამავალნი, ის გარემოებაც საკმარისია, რომ სენაკის მაზრის ორს საზოგადოებასა და ზუგდიდის ათს საზოგადოებაში გაჰმართეს-კი პურის მაღაზიები, მაგრამ პურის თუ სიმინდის ერთი მარცვალიც არ უნახავს ამ მაღაზიებს, ისე დაძველდა, ისე დალპა და დაინგრა.

„მაღაზიების გაუქმების დროს ზოგიერთმა სოფლის საზოგადოებამ სიმინდი თავისს წევრთა შორის გაანაწილა, ზოგმა გაჰყიდა და აღებული ფული სასწავლებლისა, სოფლის გამგეობის შენობის აგებასა და სხვა საზოგადო საქმეს მოახმარა, ზოგმა-კი, უმეტესობამ, ფულად აქცია და გლეხებს დაურიგა სესხად. პურის სესხად მიცემა და გაჭირვებულთა ხელის მომართვა არამც თუ შესაძლებელად არის დანახული, საჭიროდაც არის მიჩნეული, რადგან შენახული პური ახლდება; პურის გაყიდვით აღებული ფული-კი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებად, ან საკრედიტო დაწესებულებაში (ხალხის სურსათის მხრივ უზრუნველ-ყოფის 1889 წ. წესდ. მე-33, 42 და 43 მუხ.), და არამც თუ არ შეიძლება სესხად მიეცეს ვისმე კერძო კაცს, არამედ მისი სხვა საზოგადო საგანზედ მოხმარებაც-კი აღკრძალულია.

„მიმაჩნია რა ხალხის სურსათის მხრივ უზრუნველ-ყოფა დიდად შესანიშნავ საქმედ, ვავალებ ბ-ნთ მაზრის უფროსთ, და იმ საზოგადოებაში-კი, სადაც უმეტესად დროებით ვალდებული გლეხები არიან დასახლებულნი, — მომრიგებელ-შუამავალთ: 1) ღონისძიებანი იხმარონ, რომ რაც შეიძლება ჩქარა შეჰკრიბონ სესხად გაცემული ფული და სახელმწიფო ბანკში შეიტანონ სარგებლის მხრივ სამატად. აწ მოკრებილი სასურსათო თანხა ხელ-შეუხებელს საკუთრებას შეადგენს ყოველის სასოფლო საზოგადოებისას და ამიტომ საანგარიშო დავთრები ყოველის საზოგადოების სახელობაზედ ცალკე უნდა იყოს შედგენილი. საზოგადოებისავე სურვილის თანახმად, შეიძლება ამ შეკრებილ თანხით შეიძინონ მთავრობისა ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ფასიანი ქაღალდები, მაგრამ უეჭველად სახელმწიფო ბანკში-კი უნდა იყოს დაცული ეს ქაღალდები. 2) მოუყარონ თავი სოფლის ყრილობას და აუხსნან დიდი მნიშვნელობა პურის მაღაზიებისა და სასურსათო თანხისა; გადააწყვეტინონ, ან წინანდელსავე მაღაზიებში შეჰკრიბონ პური და, თუ წინანდელი მაღაზიები არა აქვთ, ახლები დაჰმართონ და ყოველ წლივ თავ-თავისი ნაწილი მოსავლისა შეიტანონ. სოფლის საზოგადოებათ შეუძლიანთ, პურისა და სიმინდის მაგიერად დააწესონ ყოველ წლიური საკომლო გარდასახადი ფულად, ან ფულადაცა და მარცვლეულობადაც. ეს დიდად საძნელო და გასაჭირი არ იქნება გლეხთათვის, რადგან საკმარისია კომლმა წელიწადში გადაიხადოს: თუ მარცვლეულობადა აქვთ შენახული მაღაზიებში—ერთ ფუთ ნახევარი; თუ მარცვლეულობად ⅁ ფულად უნდათ—ერთი ფუთი მარცვლეული და ერთი აბაზიც ფულად; ხოლო სადაც თანხას მხოლოდ ფულად არდგენენ—ორი აბაზი. 3) მონაწილეობა მიიღონ პურის მაღაზიების მეთვალყურეობის საქმეში, რათა მკვიდრთ აღარ მოუვიდეთ ზარალი და ზიანი, და 4) 1893 წლის იანვრის თთვეში მოხსენება წარმომიგზავნონ, რამდენად შეასრულეს ეს ჩემი მინდობილება, როგორც ძველად გასესხებულ ფულის მოკრებისა, აგრეთვე მერმისისათვის სურსათის დაზოგვის შესახებ, და შემდეგ ასეთივე ცნობები წარმომიდგინონ ხოლმე ყოველ ოთხის თთვის დასასრულს“.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ქ. შემახაში შეკრებილს 26 მანეთს. გთხოვთ ამ ფულიდგან 13 მან. მიიღოთ სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი 13 მანათი გადასდოთ სასარგებლოდ სოფ. ქედას დასაარსებელ სკოლისა.

აი შემომწირველთა სიაც:

სპ. ფურცელაძე 2 მ., მ. მდივანი 2 მ., გ. ქებაძე 2 მ., კ. დოდაშვილი 3 მ., თ. ვ. წულუკიძე 1 მ., ნ. უგრეხელიძე 1 მ., მამედ-ალი ახმედ-ბეგოვი 1 მ., ალ. ბაქრაძე 2 მ., მიხ. მამულაიშვილი 2 მ., ს. გამრეკელი 1 მ., გ. ლორთქიფანიძე 1 მ., ირ. შავარდნაძე 1 მ., დ. არონიშიძე 1 მ., ნ. ჯამასპოვი 1 მ., ა. მ—ლი 3 მ., №—2 მ., სულ 26 მანათი. ვგზავნი აგრეთვე 3 მანათს ბ-ნ თ. ჟორდანიას გარდასაცემად.

არსენ მამულაიშვილი

---

## დეპეშა

29 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „Новое. Время“ იუწყება: ოდესსაში გაგზავნილს წევრს ფინანსთა მინისტრის საბჭოსას კობეკოს, რომელსაც მინდობილი აქვს გაიცნოს, რა მდგომარეობაშია რუსეთის ნავოსნობის საქმე დუნაიაზედ, განზრახვა აქვს წვლილად გამოიკვლიოს აგრეთვე კილიის შესართავის საქმეცაო.

„Биржевыя Вѣдомости“ ამბობს, რომ 1 იანვრიდგან ყველა საქსოვს ქარხანაში შემოღებული იქნება ახალი თანამდებობა დამოჟნის კანტროლიორისა, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს საზღვარ-გარეთ გასაგზავნ საქონელსაო.

**რომი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თევდორეს ასული ხვალ წავლენ ნეაპოლს.

**პარიჟი.** დაგომეიას, რომელიც კანას 15 კილომეტრით ჰშორავს, ჩქარა დაიპყრობენ. დაგომეის ჯარი, რომელსაც თავი დაანებეს მისმა ქურუმებმა, დიდად დაცემულია სულით; მეფე ბეგანცინი გაქცევას არის იძულებული, რომ დანით არ დაჰკლან.

**ლონდონი.** ლორდ-მერისას გამართულს წვეულებაზედ კიმბერლენმა სთქვა: პამირის საქმესას დასასრული მოჰყვება, რომ რუსეთის მხარეს სასაზღვრო წრე იქნება გავლებული, და ამის შესახებ უკვე მოლაპარაკებაა კიდეც დაწყებულიო.

**პარიჟი.** პოლიციამ დღეს ღამე დააპატიმრა ანარხისტი გერმანელი, გვარად რაბე, ეხლახანს მოსული პარიჟს. ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ რაბე უნდა იყოს უკანასკნელ აფეთქების ჩამდენიო.

**ბრიუსელი.** მანიფესტაციები არ შეწყვეტილა; 3,000 კაცმა მოიყარა სასახლის წინ თავი და ჰყვიროდნენ „გაუმარჯოს საზოგადო საერო კენჭის-ყრასაო“, მაგრამ სამოქალაქო დარაჯმა გაჰფანტა ხალხი.

**რომი.** მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს შუადღისას მოვიდა ბარეში და ადგილობრივი მთავრობა დაუხვდა; მისი უმაღლესობა იყო ძველის-ძველად აგებული წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, სადაც სამღვდელოება მიეგება.

**ვენა.** როდესაც შაბათს საღამოს მემკვიდრე ცესარევიჩი მოვა აქ, რკინის გზის სადგურზედ მიეგებებიან იმპერატორი ფრანც-იოსები, ყველა ვენას მყოფნი ერცჰერცოგნი და სხვა წარჩინებულნი; სადგურზედვე იდგება გამწკრივებული საპატიო დარაჯი იმპერატორ ალექსანდრეს სახელობის ქვეითა ჯარისა. ერცჰერცოგი კარლ-ლიუდვიგი უკვე ჩამოვიდა რეიხენაუდგან, რათა დიდებულის სტუმარის დახვედრას დაესწროს.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | — ,, |
| ტფილისის კუპონები . | 161¼ | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 216¾ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98,12 |

---

## განცხადებანი


კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—131)

---

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახების, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

---

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

**„უნივერსალი საავენტო“**

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე საავენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-%-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (საავენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

საავენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

---

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5%-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—9) აგენტი დ. ქ. თუთაევი

---

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № 9/2, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.

(10—4)

---

**რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა**

კანტორა უმთავრესის საავენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—12) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.